

# ფარული ჩანაწერების ტმი გრძელდება



საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეორჩანაწერის შენახვისა და მასობრივად გავრცელების ფაქტზე 16 პირი დააკავა. აღნიშნული პირები სოციალური ქსელისა და მობილური

**ინტერნეტაპრიკაციის მეშვეობით ინახავდნენ და მასობრივად ავრცელებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეორჩანაწერს.**

*„შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტში მიმდინარეობს გამოძიება პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეორჩანაწერის გავრცელების ფაქტზე. ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღნიშნული ვიდეორჩანაწერის შენახვისა და გავრცელების ბრადლებით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე პრიმა მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით, დაკავებულია 16 პირი.*

*გამოძიებით დადგინდა, რომ აღნიშნული პირები სოციალური ქსელისა და მობილური ინტერნეტაპრიკაციის მეშვეობით ინახავდნენ და მასობრივად ავრცელებდნენ პირადი ცხოვრების ამსახველ ვიდეორჩანაწერს. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ადამიანების პირადი ცხოვრების ამსახველი მასაღის უკანონო მოპოვება, შენახვა და გავრცელება სისხლის სამართლის დანაშაულია. სისხლის სამართლის წესით ისჯება პირადი ცხოვრების ამსახველი მასაღის როგორც ნებისმიერი საშუალებით გავრცელება (მათ შორის – მობილური აპრიკაციის მეშვეობით გადაგზავნა), ასევე მისი შენახვა,*

*რაც თავისუფლების 4-დან 8 წრამდე ვადით აღკვეთით ისჯება.*

*მოვუწოდებთ საზოგადოებას, არ ჩაერთონ დანაშაულებრივ საქმიანობაში და შეწყვიტონ მსგავსი ვიდეოჩანაწერის ნებისმიერი სახით გავრცელება. წინააღმდეგ შემთხვევაში, სამართადამცავი ორგანოების მხრიდან მიღებული იქნება კანონით გათვარისწინებული ზომები. გამოძიება გრძელდება პირადი ცხოვრების ამსახვერი ვიდეოჩანაწერის გამავრცელებელი სხვა პირების დასადგენად. ყველა იმ პირის მიმართ, ვინც გამიზნულად ან სხვაგვარად ახდენს პირადი ცხოვრების ამსახვერი მასალების გავრცელებას, შინაგან საქმეთა სამინისტრო იძულებული იქნება გაატაროს საქართველოს კანონმდებლობით გათვარისწინებული ზომები“, – განაცხადა შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა, ვლადიმერ ბორცვაძემ საგანგებო ბრიფინგზე.*

პირადი ცხოვრების ამსახვერ ფარულ კადრებთან დაკავშირებით სამართადამცველებმა ნაცემობის ოთხი აქტივისტი დაიბარეს გამოკითხვაზე. მათგან ორმა მამაკაცმა გამოკითხვის შემდეგ სამმართველო დატოვა. თუმცა „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი წევრის, დავით გეგიაძის განცხადებით, ფარულ ვიდეოკადრებთან დაკავშირებით სავარაუდოდ, მათი ორი აქტივისტი დაკავებულა. დეპუტატი ხაზს უსვამს, რომ ჩანაწერის გავრცელება ემთხვევა „ქართული ოცნების“ შიგნით გარკვეულ უკმაყოფილებას, რაც ეჭვის საფუძველს აჩენს. ამასთანავე, მან აღნიშნა, რომ არავინ უნდა ინახავდეს მსგავს კადრებს, არამედ პოლიციას უნდა მიაწოდონ.

*„ყველას მინდა ვუთხრა, არ შეინახონ კადრები, შეატყობინონ პოლიციას და არ შეუწყონ ხელი მის გავრცელებას. ეს არის საუკეთესო პრევენცია, მსგავსი ფაქტები მომავალში აღარ იყოს ეფექტიანი, მაგრამ მეორე მხრივ, სახელმწიფოს მოვუწოდებ, რომ რეალური რეაგირება მოახდინოს და ვიდაც მესამე რიგის გამავრცელებლებს არ შეაწმინდოს ხელი“, – განაცხადა კახიძემ.*

ფარული ჩანაწერების საქმეზე ერთ-ერთი ბრადლებულის ოჯახის წევრები დაკავებას პოლიტიკურ ანგარიშსწორებად აფასებენ.